
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში

2011 წლის 4 მაისს გამართული
საჯარო დისკუსია თემაზე:

„რეგიონალური მედიის გამოწვევები“

ძირითადი მომსახურებლები:

ლევან ალექსიშვილი – ტელეკომპანია
„გურჯაანის“ აღმასრულებელი დირექტორი

ირაკლი აბსანძე – თავისუფალი ჟურნალისტი,
ასოციაცია „არგომედის“ თავმჯდომარე

ია ანთაძე – სამოქალაქო განვითარების
ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, რადიო
„თავისუფლების“ ჟურნალისტი

მოდერატორი: გიორგი გვახარია

გოგი გვაზარია – მოგესალმებით. დავიწყოთ დისკუსია. მოდით, დარბაზის სიცარიელეს თემის მიმართ გულგრილობას ნუ დავაბრალებთ. ამის მიზეზი შეიძლება დისკუსიის ერთი საათით ადრე დაწყებაც იყოს. პირველს ლევან ალექსიშვილს მოვუსმინოთ, ტელეკომპანია „გურჯაანის“ აღმასრულებელ დირექტორს.

ლევან ალექსიშვილი – ვიდრე საუბარს დავიწყებდე, მინდა გითხრა, რომ დისკუსია ერთი საათით ადრე სწორედ ჩემს გამო იწყება და ბოდიშს მოგიხდით ამის გამო. მაგრამ 9-ის ნახევრისთვის აუცილებლად გურჯაანში უნდა ვიყო, რადგან გადაცემა მაქვს პირდაპირ ეთერში.

ეს თემა პრობლემა არა მარტო რეგიონებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის და მას ძალიან ბევრი კონტექსტი აქვს. ბევრი პრობლემა შეიძლება ჩამოვთვალოთ. მე შევეცდები ძირითადად ერთ საკითხზე ვისაუბრო. ეს არის რეგიონული მედია, როგორც ბიზნესი და როგორც ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელების საშუალება. ნორმალურ პირობებში ეს ორი სფერო ერთმანეთს ხელს უნდა უწყობდეს, მაგრამ ჩვენს პირობებში ისინი ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ხდება და ერთმანეთს ხელს უშლის განვითარებაში. რა შეიძლება იყოს გამოსავალი ამ დილემიდან.

ჯერ არაფერს ვიტყვი რეგიონული მედიის წარმატებებსა და მიღწევებზე, როგორც უკვე ვთქვი, პრობლემა ბევრია. ყველა აღიარებს, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი თბილისთან შედარებით, რეგიონულ მედიაში მაღალია. მაგრამ პრობლემები რჩება და ისინი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: არაპროფესიონალიზმი, სუსტი სამოქალაქო სექტორი, რეგიონული მედიისთვის განსაკუთრებით საჭიროა ძლიერი სამოქალაქო სექტორის არსებობა, ჩაკეტილი ხელისუფლება და რესურსების სიმწირე, ანუ მწირი შემოსავალი, რითაც შეუძლია მას თავი ირჩინოს. უნდა აღინიშნოს თვითცენზურის საკითხიც. თუმცა ცენზურა და თვითცენზურა გადაჯაჭვული ცნებებია. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, ცენზურიდანაც გამომდინარეობდეს. ეს პრობლემები დგას დღეს რეგიონული მედიის წინაშე.

როდესაც ხელისუფლება იკეტება, მიუკერძოებელი, დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება ავტომატურად შეუძლებელი ხდება. იმიტომ რომ შეგიძლია ჩაწერო ოპოზიციური მხარე, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება უარს ამბობს კომენტარზე, თავისთავად არღვევ დამოუკიდებელი მედიის პრინციპს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი მედიის აღქმა ძალიან სუბიექტურია.

რეგიონული მედია, როგორც ბიზნესი. რა მდგომარეობაა ამ კუთხით. ის მხარდაჭერა, რომელსაც დონორი ორგანიზაციები რეგიონულ მედიას უცხადებენ, პირდაპირ არ უკავშირდება ბიზნესის განვითარებას. ის უმეტესწილად იქით არის მიმართული, რომ რეგიონულმა მედიამ გაავრცელოს ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია და შექმნას ძლიერი კონტენტი. თუმცა იგი ხშირად ვერ იყიდება. ამას თავისი მიზეზები აქვს. რეგიონებში არ არსებობს სათანადო კვლევები. კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მაუწყებლობის არეალის კვლევა ჩაატარა. კახეთში ეს კვლევა მხოლოდ საგარეჯოსა და ყვარელში ჩატარდა, სადაც რეგიონული მედია არ ფუნქციონირებს. ის არ ჩატარებულა არც გურჯაანში, არც თელავში, სადაც ტელევიზიებია. დასმული იყო კითხვა, საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა რეგიონული ტელევიზიის არსებობა. გარკვეულმა ნაწილმა უპასუხა, რომ არ არის

საჭირო. ბუნებრივია, საგარეჯოელი, რომელსაც არ აქვს თავისი ტელევიზია, ასეთ პასუხს გასცემდა კიდეც. მე ველოდებოდი, რომ ისინი დადებდნენ რეიტინგის შედეგებს და ველოდი, რომ ჩემი ტელევიზიის პროდუქცია სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა ცენტრალურ არხებს. თუმცა ამ კვლევის მიღმა აღმოჩნდი.

როდესაც ქვეყანაში არ არსებობს კვლევები, როგორ გავყიდო პროდუქცია? ანუ, ღონიერი ორგანიზაციების დახმარებით შექმნილ ძლიერ კონტენტს ვერ ვაქცევ ბიზნესად. დღეს რეგიონული მედია დგას ამ გამოწვევის წინაშე. ანუ ჩვენს პირობებში ძლიერი პროდუქცია და თავისუფალი და ყურებადი კონტენტი არ ნიშნავს ბიზნესის განვითარებას, რაც უკვე აგდებს მედიას ლოგიკური ჩარჩოდან.

როგორ შეიძლება განვითარდეს რეგიონული მედია, როგორც ბიზნესი. მაგალითისთვის, შემიძლია მთელი დღე გაუშვა სმს-ები, ან ხელისუფლებისგან აიღო რაღაც თანხა და მუდმივად ისაუბრო მათ საქმიანობაზე და დაკარგო შენი შემოსავლები. თუმცა ეს უკვე გამორიცხავს დამოუკიდებლობას და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას. რეგიონული მედია დგას ამ დილემის წინაშე. როგორ უნდა მოიქცეს ის, იფიქროს მხოლოდ ბიზნესზე, თუ ინფორმაციის გავრცელებაზე. თუ ის შექმნის ძლიერ პროდუქციას, გავრცელებს ინფორმაციას, მაგრამ ვერ განვითარდება როგორც ბიზნესი, მას ადრე თუ გვიან დახურვა ემუქრება, არა აქვს მნიშვნელობა, გაზეთი იქნება თუ ტელევიზია. ხოლო თუ განავითარებს მხოლოდ ბიზნესს და მაყურებელს არ მიაწვდის მისთვის საინტერესო ინფორმაციას, არც ამას ექნება გრძელვადიანი პერსპექტივა. მაგრამ სჭირდება კი საზოგადოებას ის ინფორმაცია, რომელზეც მე ვსაუბრობ? როდესაც არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფო ინსტიტუტები, ქალაქში თუ რეგიონში, საზოგადოებას პურთან, წყალთან და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებებთან ერთად აქვს მოთხოვნილება, მიიღოს ინფორმაცია ამ ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალური მედია ვერ აწვდის საზოგადოებას იმ ინფორმაციას, რისი მიღებაც მას სურს. ცენტრალური მედია, ტელევიზიებს ვგულისხმობ, ძირითადად გართობაზეა ორიენტირებული. პრესაში ცოტა განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. საზოგადოებამაც ბოლო კვლევაში აღიარა, რომ მას უნდა გართობა. მან თქვა, რომ სხვა ტიპის საინფორმაციო გამოშვებები უნდა, და ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას სულ აღარ უნდა ისინი.

საქართველოში ძალიან საინტერესო რამ მოხდა. იმის ნაცვლად, რომ მედიას საზოგადოების პროვოცირება მოეხდინა ობიექტური ინფორმაციის მიღებაზე, მან პირიქით დაუკარგა საზოგადოებას მოთხოვნილება ამ ინფორმაციაზე, დაუკარგა მოთხოვნილება საინფორმაციო-ანალიტიკურ პროგრამებზე. ეს ძალიან ცუდია ქვეყნისთვის. სამოქალაქო საზოგადოება ასეთ პირობებში უბრალოდ ვერ განვითარდება.

როგორც უკვე ვთქვით, სარეკლამო შემოსავლები მცირეა, ძლიერი კონტენტი კი ვერ იყიდება. რა უნდა იყოს გამოსავალი ასეთ სიტუაციაში? როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია არ იყიდება, ღონიერების დახმარებით შენ მაინც აწვდი მას შენს აუდიტორიას, გეტყვით, რა ხდება, ჩვენი ტელევიზიის მაგალითზე. როდესაც გავაკეთეთ საგამომიებო სიუჟეტები გურჯაანის, ყვარლის, თელავის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებზე და გამოვააშკარავეთ კონკრეტული პრობლემები, გარშემო არ იყო ადამიანი, რომელიც ამ ფილმებზე ხმას ამოიღებდა. დამეგობრებული შეცდომებისთვის და დარღვევებისთვის მუნიციპალიტეტებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია, არც სამოქალაქო სექტორს და არც ოპოზიციას. დამოუკიდებელი მედია ძლიერი სამოქალაქო სექტორის გარეშე ვერ ვითარდება.

გამოსავალი, ჩემი აზრით, ის არის, რომ აღნიშნული ინფორმაცია იქცეს ბიზნესად. თუ საზოგადოებას მივყიდით ისეთ პროდუქტს, რომელიც მის სამოქალაქო განვითარებას ხელს არ უწყობს, მივიღებთ ძალიან ცუდ საზოგადოებას. როგორ ვაქციოთ ობიექტური ინფორმაცია ბიზნესად? რატომ უნდა იყოს მედია მხოლოდ დონორების იმედად. რატომ არ უნდა ჰქონდეს მას თავისი შემოსავალი. კარგი იქნება თავად დონორმა ორგანიზაციებმა კონტენტის პარალელურად ყურადღება მიაქციონ მედიის, როგორც ბიზნესის განვითარებას. მედიამ უნდა ეძებოს ალტერნატიული რესურსები. არა მარტო რეკლამის გაყიდვით, არამედ ალტერნატიული საქმიანობებით, სხვადასხვა სერვისების დანერგვით შეძლოს დამატებით რესურსის მობილიზება. ჩვენ ამ სტადიაზე ვართ.

გაზეთებში თავისუფლების ხარისხი მაღალია, მაგრამ არა აქვთ დისტრიბუცია. შესაბამისად, როდესაც გაზეთის ტირაჟი დაბალია, ვერც ის პროდუქცია ვრცელდება, რომელსაც ისინი ამზადებენ. ობიექტური ინფორმაციის ბიზნესად ქცევისთვის მხოლოდ მედიის ძალისხმევა არ არის საკმარისი. ამას სჭირდება თავად საზოგადოების და ბიზნესის ძალისხმევა. თუმცა ბიზნესსაც აქვს თავისი პრობლემები და ესეც ყველამ ვიცით. ვართ ერთ დიდ მოჯადოებულ წრეში, როდესაც მხოლოდ მედია, თავისი აქტიურობით რეგიონებში ვერ იქნება წარმატებული, თუ მის პარალელურად სხვა სფეროებიც არ იქნება წარმატებული.

არ მინდა მხოლოდ პრობლემებზე ვისაუბრო, მაგრამ იმ პირობებში, რომელიც დღეს ქვეყანაშია, რეგიონულმა მედიამ გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე ცენტრალურმა მედიამ. რეგიონებში მედიამ უზრუნველყო საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციით უზრუნველყოფა. რეგიონულმა მედიამ ისეთი ტიპის დამხმარე საქმიანობა უნდა აწარმოოს, რომელიც მიბმული იქნება ამ კონტენტთან, ობიექტურ ინფორმაციასთან, რომელიც იქნება მისი შემოსავლის წყარო.

რაც შეეხება დონორებს, მხოლოდ კონტენტის დაფინანსება რეგიონულ მედიაში პრობლემას ვერ მოხსნის. ერთი წლის განმავლობაში იქნება ძლიერი მედია-საშუალება, გრანტის გაჩერების შემდეგ ის დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

არ შემიძლია, არ ვთქვა პროფესიონალიზმის ხარისხზეც. ნება ობიექტური ინფორმაციის გავრცელებისა მაღალია, მაგრამ პროფესიონალიზმის დონე, უნდა ვაღიაროთ, არცთუ ისე მაღალია. ამ პრობლემას ვერ მოხსნის ჟურნალისტებისთვის გამართული ტრენინგები და სემინარები. მასაც მოკლევადიანი ეფექტი აქვს. თუ მედია-საშუალებამ არ გამოყო კონკურენტუნარიანი თანხა ჟურნალისტის დასაქირავებლად, ის პროფესიონალს ვერ დაიქირავებს. დღევანდელი მდგომარეობით, დასაქმების ყველაზე დიდი წყარო არის ხელისუფლება. რეგიონულმა მედიამ სულ მცირე, ამ დონის ხელფასი უნდა შესთავაზოს ადამიანს, რომ კონკურენტუნარიანი კადრები მიიყვანოს. ორმოცდაათწლიანი თანამშრომელს ტრენინგ-სემინარები ნაკლებად უშველის. თუმცა მათაც აქვს თავისი შედეგი. ეს ტრენინგები ელემენტარულ ცოდნას მაინც იძლევა იმის შესახება, როგორ უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის დამუშავება.

რეგიონულ მედიას რა თქმა უნდა, ჰყავს პროფესიონალი კადრებიც, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. მედია-საშუალებას გაფართოება რომ უნდოდეს, რეგიონში პროფესიონალი ჟურნალისტის მოძებნა მისი მეორე მედია-საშუალებიდან გადმოყვანის ხარჯზე თუ შეიძლება მოხდეს. არაპროფესიონალიზმი იწვევს თვითცენზურას. არ დავასახელებ, მაგრამ არის მედია-საშუალება, სადაც იქმნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინფორმაცია და ამავედროულად, სხვა ჟურნალისტის მიერ ვერ იქმნება ასეთივე ტიპის ინფორმაცია. რატომ,

არის ეს თვითცენზურის შედეგი? როდესაც ადამიანი არ არის პროფესიონალი, შეიძლება უნდოდეს, მაგრამ უჭირს თავისი საქმიანობის დასაბუთება. პროფესიონალიზმია ამ პრობლემის გადაწყვეტი.

კიდევ ერთი საკითხი – მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი. ეს ამ ბოლო დროს ძალიან პოპულარული თემაა. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით გამოცხადებულ კონკურსზე ძალიან ბევრმა მედია-საშუალებამ, მათ შორის ჩემმა მედია-საშუალებამაც გადადგა პირველი ნაბიჯები ამ კუთხით. მედია, როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტი, წარმოუდგენელია იყოს სამოქალაქო საზოგადოების გარეშე. ამ შემთხვევაშიც უნდა ვიფიქროთ მედიის პარალელურად სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე. ჩემი აზრით, ყველა მედია-საშუალებამ, თუ სურს განვითარება, უნდა იფიქროს იმაზე, რომ გაავრცელოს მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია და ეს გააკეთოს ბიზნესის განვითარების პარალელურად. საამისო გზები ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ. გმადლობთ.

გოგი გვახარია – ვიდრე კითხვებს დავსვამდეთ, ძირითად მომხსენებლებს მოვუსმინეთ. ახლა უკვე ირაკლი აბსანძეს გადავცემ სიტყვას. იგი გახლავთ ასოციაცია „არგომედიის“ თავმჯდომარე, მასვე აქვს ძალიან კარგი გადაცემა ფოთის ტელევიზიაში. სხვა საკითხებთან ერთად ირაკლი ალბათ ისაუბრებს იმაზეც, არსებობს თუ არა იმ სახის ზეწოლები, რომლებზეც ახლა მოვისმინეთ.

ირაკლი აბსანძე – მე მქონდა გადაცემა, მაგრამ ახლა აღარ მაქვს. ეს გადაცემები ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მზადდებოდა, რომელიც დასრულდა. მოხარული ვარ, რომ თქვენთან საუბრის საშუალება მომეცა.

შევეცდები გიამბოთ ჩემი დაკვირვებების შესახებ. სამი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდი ერთ-ერთ რეგიონულ მედია-საშუალებასთან და დღემდე ერთობლივად ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტს. ლევანმაც ისაუბრა იმაზე, რომ რეგიონულ მედიას საქართველოში ძალიან რთული როლის კისრება მოუხდა. ერთის მხრივ, გვსურს გადავჭრათ დილემა, რომელიც მედიის ბიზნესად ქცევაში მდგომარეობს, მეორე მხრივ, დიდწილად გვიხდება საზოგადოებრივი მაუწყებლების ფუნქციის აღება საკუთარ თავზე, რაც თავისთავად, არ არის ბიზნესი. ელექტრონულ მედიაზე ვიტყვი, დედაქალაქში გვაქვს რამდენიმე არხი, სადაც ამაყად აცხადებენ, რომ ახალი ამბები კეთდება იქ, მეორე მხრივ გვაქვს რამდენიმე არხი, სადაც ხან ერთი შედის პროცენტებით აქციაში, ხან მეორე, და სანდობა იქაც პრობლემაა. სადაც შუაში იმყოფება რეგიონული მედია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ენდობა. იმიტომ რომ ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ყველა ყველას იცნობს. რეგიონული მედია თუ ამბობს, ამბობს ობიექტურ ინფორმაციას, თუ არ ამბობს, ეს მისთვის თავდაცვის საშუალებაა.

როგორ უნდა შეიქმნას პროდუქცია, რომელიც გაიყიდება. ჩემს გადაცემაშიც, რომელსაც ჯერ „სოროსი“ აფინანსებდა, მერე ევროკავშირი, ვსაუბრობდით თემებზე, რომლებიც უნდა იხილებოდეს საზოგადოებრივ მაუწყებელში და საზოგადოება უნდა მსჯელობდეს მათზე. საუბარი იყო იმაზე, თუ რა ფასეულობების მატარებელია ჩვენი საზოგადოება, რა ფასეულობების მატარებელი უნდა გახდეს, რა არის ლიბერალიზმი, და ა.შ. მაგრამ რამდენად გაიყიდება ეს პროდუქცია, რთული სათქმელია. იმიტომ რომ ჩვენ ვსაუბრობთ თემებზე, რომელიც შეიძლება იმ კონკრეტულ სიტუაციაში მოსახლეობას არ

ანტერესებს, იმიტომ რომ კვლევებშიც გამოჩნდა, მას რისი ნახვის სურვილი აქვს. მას აჩვენებ რაღაცას და შემდეგ მისი ნახვის სურვილი აქვს. იქნება ჩაკეტილი წრე და გვიწევს მასში ტრიალი და გადაწყვეტილების მიღება, თუ რა მიმართულებით წავიდეთ.

ლევანმა არაპროფესიონალიზმზეც ისაუბრა. პროფესიონალიზმი პრობლემაა იმიტომ რომ ფინანსური პრობლემები გვაქვს. თავისთავად პრობლემაა ის, რომ ინსტიტუციურად დამკვიდრება რეგიონულ მედია-საშუალებებს გვიჭირს. დონორები გაუთავებლად გვატრენინგებენ და ამით ძალიან კარგ საქმესაც აკეთებენ. მაგრამ ადამიანებს, რომლებმაც ცოდნის კრიტიკული მასა დააგროვეს, ადგილობრივი ხელისუფლება, რადგან მათ სახიფათოდ მიიჩნევენ, გადაიბირებს და შემდეგ თავიდან იწყება პროცესი. ეს არის კონფორმიზმი, რომელსაც ხანდახან ვერ ვამტყუნებ, იმიტომ რომ 50 ლარით თავის რჩენა ძალიან რთულია.

კიდევ ერთი პრობლემაა, რომელზეც არ შემიძლია, არ ვთქვა, იმიტომ რომ მე გახლდით ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი. აქ იმყოფება ქალბატონი ია მამალაძე, რომელიც ასევე არის ამ საბჭოს წევრი. კარგად ვხედავდი, რა პრობლემა გვაქვს ეთიკურ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებით. რთულია ეთიკური სტანდარტების დაცვა, მაგრამ მათ რეგიონული ჟურნალისტები ბევრად უკეთესად იცავენ, ვიდრე ცენტრალური არხები. ამის მიზეზი ის არის, რომ შეიძლება ცდუნება ნაკლები გვაქვს. ჩემს მაუწყებელში ვერანაირად ვერ გადამიხდიან იმდენ ხელფასს, რასაც „რუსთავი2-ში“ უხდიან არაეთიკურად მუშაობისთვის. არ მეთანხმებით? არის რაღაც მორალური კატეგორიები, რაღაც ან შეგიძლია ან არა. მე რაღაც არ შემიძლია, ამიტომაც ვარ იქ, სადაც ვარ. მეორე მხრივ, თუ არ დავიცავით ის პრინციპები, რაზეც შევთანხმდით, და რაც ჩვენი მოგონილი არ არის, ხელისუფლება ერთხელაც მოვა და გვეტყვის, რომ ვარდვეთ ეთიკის კანონებს, ვიყენებთ სიბუღვილის ენას და ა.შ. და ამიტომ ის შეეცდება მის ხელთ არსებული საშუალებებით, საკანონმდებლო გზით დაარეგულიროს ეს საკითხები. ასეთი მაგალითი ბევრია. ბრიტანეთშიც მოხდა ეს 50-იან წლებში, როდესაც მედია-საბჭო ძალიან დასუსტდა, ხელისუფლებამ სცადა კანონით დაერეგულირებინა ეს საკითხი, ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ ეს ცენზურის საფრთხეს შეიცავდა. თუ აქამდე მივიყვანეთ საქმე, მართლაც ჩინოვნიკების გადასაწყვეტი გახდება, რა არის ჩვენს მიერ მომზადებულ პროდუქციაში ეთიკური და რა არა. ამიტომ თვითრეგულირების მექანიზმი აუცილებლად მიმანია.

ადგილობრივი მედიისთვის პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გვიხდება ურთიერთობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის გადაწყვეტილების მიმღები. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელსაც მათგან ვიღებთ, არ არის ღირებული. ფოთის მაგალითზე გეტყვით. ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდონ, მაგრამ იქ არ წყდება ისეთი საკითხები, რაც წესით ადგილობრივ მედიას უნდა აინტერესებდეს. ამ პირობებშიც კი ჩნდება ფავორიტიზმის საფრთხე, ვინმესთან მონიდომოს თანამშრომლობა, ან პირიქით. ვერც ის ჟურნალისტი წავა სხვა ქალაქში საცხოვრებლად და ვერც ის ხელისუფალი. ამიტომ არის ხშირად მუდმივი დაპირისპირება, და ის შემდეგ პიროვნულ დაპირისპირებაში გადადის, საბოლოო ჯამში კი პროფესიონალიზმის დონეს დაბლა წევს.

ზოგადად, რეგიონულ მედიაში მიმდინარე პროცესების მიმართ თბილისში მყოფი სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ქედმაღლურია. ამაზე მეტყველებს დღევანდელი დარბაზიც. ბოლო დროს ვამჩნევ, რომ რადგან დონორები ითხოვენ, რეგიონებში განხორციელდეს პროექტები, მოდიან ხოლმე კონკრეტული წინადადებით, სადაც შენ პარტნიორი უნდა იყო, ოღონდ ვერაფერს წყვეტ. გაძლევენ პროექტებს, მაგრამ წინასწარ არ

გითანხმებენ თამაშის წესებს. ჩვენ ვცდილობთ ასეთი მიდგომისგან თავი დავიცვათ და თავად ვამზადებთ პროექტებს. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, რეგიონული მედიის დაფინანსების მთავარი წყარო ალბათ მაინც ფონდების დახმარება იქნება. არის შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები ფულს იხდიან დაბეჭდილ პროდუქციაში, გურიასა და აჭარაში არის ამის კულტურა. სამწუხაროდ, იქ სადაც მე ვცხოვრობ, დიდი ხანია, ადგილობრივ გაზეთებს არ იწერენ.

რეგიონულ მაუწყებელთან დაკავშირებით ხშირად იმართება დისკუსია იმ საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში, რომელიც დამოუკიდებელმა მედია ექსპერტებმა პარლამენტში წარადგინეს. განსაკუთრებით გამსხვილებულ ქალაქებში ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მაუწყებლის მოხვედრა საკაბელო ტელევიზიაში. რადგან გადახდისუნარიანი მაყურებლის უმეტესობა უყურებს საკაბელო ტელევიზიას, ისინი კი ელოდებიან პოლიტიკურ ნებას. ბათუმში „25-ე არხი“ გამორთო საკაბელო ტელევიზიამ. ძალიან კარგი იყო, რომ მაშინ სწორედ მოსახლეობამ დაიწყო ამის გაპროტესტება და თქვა, რომ თუ არხს არ დააბრუნებდნენ, ისინი გააუქმებდნენ საკაბელო ტელევიზიასთან დადებულ კონტრაქტს. და ამით საკაბელო ტელევიზიის ხელმძარვნილობა აიძულეს, ხელახლა ჩაერთო ეს არხი. ცივილიზებულ სამყაროში ამის დარეგულირების მექანიზმი არსებობს. ადგილობრივი საკაბელო ტელევიზია ვალდებული უნდა იყოს, თავის პაკეტში მოათავსოს ადგილობრივი მაუწყებლობა. თუ ის რამდენიმეა, მათგან ამოარჩიოს ორი, თუ რამდენიმე არ არის, არსებული განათავსოს. ეს დაკავშირებულია იმ თემასთან, რომელზეც ლევანი საუბრობდა და უშუალოდ უკავშირდება ფინანსურ საკითხებს. არ ვიცი, ალბათ არ არის დასამალი, რომ მაგალითად ფოთის ტელევიზიაში სამი თანამშრომლის ხელფასი გარდაცვლილების შესახებ შემოსული განცხადებების მეშვეობით იხდება. ეს არის რეალური დაფინანსების წყარო ერთადერთი. ეს წყარო კი იზრდება იმის პროპორციულად, თუ რამდენი მაყურებელი ჰყავს არხს. ჯერჯერობით ეს არის, რისი თქმაც მინდოდა, სიამოვნებით ვუპასუხებ დასმულ შეკითხვებს.

გოგი გვახარია – ძალიან საინტერესოა თემა რეგიონული მედიისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა. იქნებ ამ თემაზე იამაც ისაუბროს, მით უმეტეს, რომ ის კარგად იცნობს სხვადასხვა რეგიონში არსებულ ვითარებას.

ია ანთაძე – მოგესალმებით. მე მინდა ჯერ იმაზე ვისაუბრო, თუ რა ხდება დარბაზში. ბოლო პერიოდში ყველა ვადევნებთ თვალყურს, რომ საზოგადოების სოციალური აქტივობა, განსაკუთრებით თბილისში, ძალიან გაზრდილია. ამიტომ ის რაც დღეს ამ დარბაზში ხდება, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის საზოგადოებამ კარგად არ იცის იმ როლის შესახებ, რომელსაც რეგიონული მედია მთელი საზოგადოების განვითარებაში თამაშობს. კარგად რომ გვქონოდა გაცნობიერებული, რას ნიშნავს რეგიონული მედია საქართველოსთვის, ამ დარბაზში გაცილებით მეტი ადამიანი იქნებოდა. და ისინი გაცილებით უფრო აქტიურად ჩაერთვებოდნენ დისკუსიაში. ამიტომ მთელ საქართველოს და პირველ რიგში თბილისის საზოგადოებას რეგიონული მედიის როლსა და საქმიანობაზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ. ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბიოლის ფონდს ამ თემით დაინტერესებისთვის.

მოგახსენებთ ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იქ ბოლო წლების განმავლობაში. თავდაპირველად, როდესაც რეგიონებში დაარსდა გაზეთები და ტელევიზიები, უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში დონორებმა. დონორების კეთილი ნება იყო, რომ რეგიონებში საზოგადოება ყოფილიყო უფრო ინფორმირებული. მოგეხსენათ, იქ, სადაც არის დონორებთან ანგარიშგების სისტემა, ფინანსებიც და სტანდარტის მიმართ მოთხოვნებიც გამჭვირვალეა, ამიტომ რეგიონულ მედიაში სტანდარტის მიმართ თავიდანვე განსაკუთრებული მგრძობელობა იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ რადგან ტელევიზიების შენახვა ძალიან ძვირი ღირდა, ისინი დონორ ორგანიზაციებს ხელიდან დაუსხლტნენ. მე ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ მოგახსენებთ, დარბაზში ალბათ არიან ადამიანები, რომლებმაც ეს პროცესები ჩემზე კარგად იციან და მათ აზრსაც მოვისმენთ. მაგრამ გაზეთები რეგიონებში მაინც შენარჩუნდა, ნაწილობრივ ადგილობრივი მენეჯმენტის გაძლიერების საფუძველზე, რაშიც ასევე დონორი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ამიტომ რეგიონულ გაზეთებში იყო ერთი ნაკადი, რომელიც ყოველთვის ძალიან სუფთა იყო და საზოგადოების ნდობასაც იმსახურებდა.

ტელევიზიებს სერიოზული პრობლემა ჰქონდათ, იმიტომ რომ ბევრი მათგანი მიება ადგილობრივ ბიუჯეტს, და ახლა იწყება ის პროცესი, როდესაც ყველა ერთად ვცდილობთ მოვწყვიტოთ ისინი ადგილობრივ ბიუჯეტს. როდესაც დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები გვეკითხებიან, რა უნდა იყოს პრიორიტეტი, რეგიონულ მედიას პირველ პრიორიტეტად ვასახელებთ, იმიტომ რომ იქ გაცილებით ნაკლები თანხით შესაძლებელია მივიღოთ გაცილებით მაღალი ეფექტი. ამიტომ მათ კარგად იციან, რომ უნდა დაეხმარონ რეგიონულ მედიას და ეს პროცესი არ შეწყვეტილა.

შემდეგ მოხდა ის, რომ გაჩნდა გაზეთები, რომელთა ფინანსები არცთუ ისე გამჭვირვალე იყო, როგორც ადრე არსებულ გაზეთებში. იყო ერთი პერიოდი, როდესაც ძალიან სერიოზული კონფლიქტი იყო ადგილზე იმ გაზეთებს შორის, რომლებიც სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ და მათ შორის, რომლებიც არავინ იცის, ვის მიერ ფინანსდებოდა და ვის მიმართ იყო პასუხისმგებელი. ამ ორი ტიპის გაზეთებში, შესაბამისად აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება იყო სტანდარტის მიმართ. მყვირალა სათაურები ზოგჯერ უფრო მეტად იზიდავდა მკითხველს, სტანდარტის დამცველი და ინფორმაციის გადამამოწმებელი გაზეთები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორედ მაშინ რეგიონულ მედიაში პირველად დაიბადა იდეა, რომ კარგი იქნებოდა ყოფილიყო პირობითად „მსაჯობა“, როდესაც გარკვეული იქნებოდა, ვინ იყო სანდო და ვინ არა. ეს უნდა ეთქვათ ადამიანებს, რომლებმაც ზუსტად იციან, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მედია-საშუალება სანდოდ ან პირიქით და ამას სხებისთვის დამაჯერებლად დაასაბუთებდნენ. მაშინ გაჩნდა იდეა, რომ საჭიროა თვითრეგულაციის მექანიზმის შექმნა, რომელიც საზოგადოების მხრიდან რეალურად დაიმსახურებდა ნდობას და გამოარჩევდა ერთმანეთისგან ცუდს და კარგს. ეს ძალიან სიცოცხლისუნარიანი იდეა იყო და იგი დაედო საფუძველად ქარტიის პროცესს. ამიტომ შემდეგ ისე მოხდა, რომ ამ პროცესში უფრო მეტად ჩაერთო რეგიონული მედია, ვიდრე თბილისის მედია. ამას ჰქონდა სერიოზული მიზეზი, იმიტომ რომ თბილისის მედია დიდწილად არის დაცენზურებული და ამბიციურიც. ამიტომ იყო, რომ იყო ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ ისედაც ეთიკურია და არ თვლიდა საჭიროდ რაიმეზე ხელის მოწერას. მაგრამ არის ძალიან დიდი ჯგუფი ჩვენი კოლეგებისა, რომელიც ვერანაირ ქარტიას ვერ მოაწერს ხელს, იმიტომ რომ მათ ზუსტად იციან, რომ არ აკეთებენ

იმას, რასაც უნდა აკეთებდეს ჟურნალისტი. ამიტომ არის, რომ სტანდარტის დამკვიდრების, პროფესიონალიზმის ამაღლების პროცესი დღეს მთლიანად რეგიონულ მედიაზე დგას. ამ პროცესში, ჩვენც, თბილისელი ჟურნალისტები ვეხილებით მათ ისე, როგორც შეგვიძლია.

ახლა მინდა პრაქტიკული დადასტურება ვითხრათ იმისი, რაზეც ირაკლი და ლევანი საუბრობდნენ. ნაწილობრივ გოგისაც გამოვეხმაურები. ორგანიზაციამ, რომელსაც მე წარმოვადგენ, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა, გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს 6 ქალაქში შეძლო ერთ მაგიდასთან სასაუბროდ დაესვა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები. ეს პრაქტიკულად უპრეცედენტო შემთხვევა იყო, იმიტომ რომ მოგესხნათ, ხელისუფლებას არ უყვარს სასაუბროდ დაჯდომა იქ, სადაც არის მედია და ოპოზიცია. მაგრამ როგორღაც ეს ექვსივე ქალაქში მოხერხდა. რამდენიმე ქალაქში ადგილობრივი ხელისუფლება პირველი პირებითაც იყო წარმოდგენილი. ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ რა პრობლემები აქვს მედიას ხელისუფლებასთან და დანარჩენ საზოგადოებასთან ურთიერთობისას. შეხვედრები ჩატარდა სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც მოიცავდა სამსაათნახვერიან დისკუსიას, რომლის შემდეგაც შეხვედრის მონაწილეებმა შეავსეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის კითხვარები. ამას აკეთებდნენ გუბერნატორი, მისი მოადგილეები, გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და ა.შ. ამიტომ ჩემი აზრით, ეს მასალა ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გავიაზროთ, რა მდგომარეობაშია რეგიონები ზოგადად და რა არის მათი აზრით ის ხელისშემშლელი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მათ ერთმანეთთან ურთიერთობაში, მედიას კი იმაში, რომ იყოს უფრო ხარისხიანი.

პირველ პრობლემად, რომელმაც ხმების რაოდენობით დიდად გადაასწრო ყველა დანარჩენს, დასახელდა პროფესიონალიზმის პრობლემა. ეს არ ეხებოდა მხოლოდ ჟურნალისტების პროფესიონალიზმს. საუბარია იყო იმაზე, რომ პროფესიონალიზმი არის პრობლემა ყველა სეგმენტში, რომელიც იყო წარმოდგენილი ჩვენს შეხვედრებზე. პროფესიონალიზმის დეფიციტი, როგორც ჩანს, უკვე მთელი საქართველოსთვის არის ღია პრობლემა და თუ რამეზე უნდა ვიმსჯელოთ, ეს საკითხი არის ყველაზე მთავარი. მეორე პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტი ადამიანის მიერ დასახელდა, არის საზოგადოების სისუსტე, მესამე – პოლიტიკური ნება, მეოთხე – შიში. ეს ოთხი პრობლემა დასახელდა ამ ქალაქებში. იყო კიდევ ორი პრობლემა, რომელიც მხოლოდ ორ ქალაქში დადასტურდა, ესენია კომუნიკაციის და ფავორიტიზმის პრობლემა, მაგრამ მაინც იმ ოთხ პრობლემაზე მოვახდინეთ კონცენტრირება, რომელიც საერთო აღმოჩნდა რამდენიმე ქალაქისთვის.

როდესაც ვეკითხებოდით, როგორ წარმოედგინათ ამ პრობლემების გადაჭრა, მიღებული პასუხებიდან ასევე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პასუხი. პრობლემების გადაჭრის მთავარ გზად დასახელდა დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება. გამოდის, რომ ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, არასამთავრობო სექტორიც და აქტიური მოქალაქეებიც და მედიაც მიიჩნევენ, რომ თუ გვინდა ძლიერი საზოგადოება გვყავდეს, აუცილებელია დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება. სამ ნაწილად დაიყო პასუხები იმის შესახებ, რა უნდათ მედიისგან: მედიის გათავისუფლება კონტროლისგან, ექსპერტული და ანალიტიკური ჟურნალისტიკის გაძლიერება და საზოგადოების ზუსტი ინფორმირება. ანუ, ის, რომ ბევრგან არის ხელისუფლების სურვილი, აკონტროლოს მედია, ამ რჩევებშიც გამოჩნდა. მეორე და მესამე ფაქტორი ჩემთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ლევანიც ამბობდა, რომ არის უამრავი

ტრენინგი. სწორედ იმით, რომ გამოყვეს ექსპერტული და ანალიტიკური ჟურნალისტიკა, ჩვენ გვითხრეს, რომ მათ სჭირდებათ არა უბრალოდ ჟურნალისტი, არამედ ჟურნალისტი, რომელსაც ექნება ექსპერტული ცოდნა. და რომ ეს არის აუცილებელი იმისთვის, რომ შენ შენი პროფესიით ირჩინო თავი. ის, რომ საზოგადოება ზუსტად იყოს ინფორმირებული, ესეც უკავშირდება პროფესიონალიზმის პრობლემას, იმიტომ რომ ერთია, როდესაც ჟურნალისტი იძულებულია თქვას ტყუილი ან ნახევრად სიმართლე, მაგრამ მეორეა, როდესაც მან არ იცის, როგორ უნდა თქვას სიმართლე. საზოგადოება ჩვენგან ითხოვს უფრო მეტ კვალიფიკაციას და უფრო სიღრმისეულ ჟურნალისტიკას.

როდესაც საშუალება გვქონდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში, რომელიც ქრთული მედიის მხარდაჭერას გულისხმობდა, ორჯერ გამოგვეცხადებინა კონკურსი სიღრმისეულ რეპორტაჟზე, მოდიოდა განაცხადები, მათ შორის რეგიონებიდან, მაგრამ პირადად მე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მართლაც ცოტაა ჟურნალისტი, რომელსაც შეუძლია ძალიან ძვირადღირებული სტატიის ან რეპორტაჟის მომზადება. ამ კონკურსის შედეგად დანახული სურათი გაამყარა იმ მოთხოვნამ, რომელიც გამოითქვა ჩვენს მიერ ჩატარებული დისკუსიების შემდეგ. ჟურნალისტები გვთხოვენ დავეხმაროთ მათ იმაში, რომ მათი ცოდნა იყოს ექსპერტული და შეძლონ სიღრმისეული რეპორტაჟების კეთება და ანალიტიკური მასალების მომზადება. ჩვენ უკვე ვფიქრობთ იმაზე, რისი გაკეთება შეგვიძლია ამ მიმართულებით.

რაც შეეხება საზოგადოების გააქტიურებას, ესეც სამ ნაწილად დაიყო: სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა და ადგილობრივი ლიდერების გამოკვეთა. ფოთში, მაგალითად, პირდაპირ გვითხრეს, ან მივხმარებოდით და გვესწავლებინა მათთვის თვითორგანიზების მექანიზმები, ან ლიდერების გამოკვეთაში დავხმარებოდით.

მესამე ფაქტორი, რომელიც ყველგან ჩანდა, არის განათლება. ყველა გრძნობს, რომ არის განათლების დეფიციტი. საუბარი იყო საუნივერსიტეტო და პროფესიულ განათლებაზე.

მეოთხე საკითხი იყო დიალოგი მედიას, ხელისუფლებას და საზოგადოებას შორის. არ ვიცი, შევძლებთ თუ არა, რომ კიდევ ერთხელ მოვიწვიოთ ეს ადამიანები. ძალიან საინტერესო იქნება შედარებისთვის ერთი წლის შემდეგ ამ ადამიანების კიდევ ერთხელ შეკრება. ამ შემთხვევაში საშუალება მოგვეცემოდა დინამიკაში შეგვეხედა პრობლემებისთვის.

ორი რისკი იყო, რომელიც მუდმივად ჩნდებოდა: ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა, რის გამოც შესაძლოა არ განხორციელდეს ყოველივე ის, რაზეც ახლა ვისაუბრე და საზოგადოების ძალიან დაბალი სოციალური მდგომარეობა და ფინანსების დეფიციტი. აი ეს არის, რაც გვითხრეს რეგიონული მედიის საქმიანობასთან და რეგიონებში საზოგადოების აქტივობასთან დაკავშირებით.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა, ია. ახლა ისევ ლევანს და ირაკლის მოვუსმინოთ. მათ სურთ კომენტარის გაკეთება და შემდეგ უკვე გვექნება კითხვების დასმის საშუალება.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა, ია. ერთი საკითხი გამომრჩა და მინდა გითხრათ მის შესახებ. თავისუფალი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას დღეს რეგიონებში საზოგადოების მხრიდან ხშირად აქვს მარგინალიზაციის საფრთხე. როდესაც ცდილობ საზოგადოებას მიაწოდო დაბალანსებული ობიექტური ინფორმაცია, და ხელისუფლება უარს ამბობს გადაცემაში მონაწილეობაზე, იძულებული ხარ თქვა, რომ არ

მოვიდა მოწვეული სტუმარი და მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია შესთავაზო მაყურებელს. როდესაც ეს რამდენჯერმე დაგემართება და ვერც რესურსების სიმწირის გამო შექმნი მრავალფეროვან პროდუქტს, ძალიან იოლია გახდე მარგინალიზებული. ეს რეალური საფრთხეა. ბევრი გადაცემა ჩაგვიშლია იმ მოტივით, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი არ მოვიდა ეთერში. არაადამიანური ძალისხმევა სჭირდება ორივე მხარის მოწვევას და ობიექტური და მიუკერძოებელი მასალის მომზადებას. ამ პრობლემასაც უნდა გაუმკლავდეს რეგიონული მედია.

რა ტიპის ზეწოლას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩაკეტილობა ყველაზე დიდი პრობლემაა. ის ასევე გაიძულებს ეძებო ალტერნატიული პროდუქცია და ის მიაწოდო შენს მაყურებელს, რაც ასევე არ არის ყოვლიმომცველი და სიღრმისეული. ასეა თუ ისე, ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც გვეჭირდება საერთო ენის გამოხატვა. ხისტი პოლიტიკა რეგიონულ მედიას არ წაადგება. მე მაქვს გადაცემა „ძალა უძალოთა“. თავიდან ხელისუფლება არ მოდიოდა მონაწილეობის მისაღებად. ბევრჯერ სცადეს ამ გადაცემის მარგინალიზება. ძალიან რთული იყო, რომ ამ გადაცემას შეეძინა სოლიდურობა. რაც უფრო გაიზარდა მაყურებლის რაოდენობა, ისინი იძულებულები გახდნენ, მოსულიყვნენ და მიეღოთ მონაწილეობა გადაცემაში.

ცალკე თემაა გადაჭარბებული მოლოდინი. თუ მედია-საშუალება ხშირად აჰყვება საზოგადოების ხმას, შეიძლება დაკარგოს თავისი ფუნქცია. ხშირ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან არის გადაჭარბებული მოლოდინი. მედია-საშუალებას და გადაცემის წამყვანს სთხოვენ იმას, რაც თვისობრივად არ შედის მის ფუნქციაში. თუ მათ იმის მოგვარებას შეპირდები, რასაც გთხოვენ, დაკარგავ შენს რეალურ ფუნქციას. როდესაც ღირებული ინფორმაციის გამო შეპირდები რესპოდენტს, რომ ყველა პრობლემა მოუგვარდება, და გარანტიად უდგები, შენ ამ ადამიანის ნდობას კარგავ. მოგახსენებთ მაგალითს: ამუშავეს ადამიანები და ხელფასი არ გადაუხადეს. ეს ადამიანები მოდიან და გთხოვენ ილაპარაკო ამ თემაზე, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ამის შემდეგ მისცემენ კუთვნილ ხელფასს. შენ პასუხობ, რომ ამაზე ილაპარაკებ, მაგრამ გარანტიად ვერ უდგები, რომ აუცილებლად დაკმაყოფილდება მათი პრობლემა. როდესაც ასეთ პასუხს იღებენ, მერე ფიქრობენ, რომ თუ გარანტიის მიცემა არ შეგიძლია, იქნებ ჯობდეს, ისევ ხელისუფლებას დაელაპარაკონ. მერე იწყება ვაჭრობა ხელისუფლებასთან, რომ თუ არ მისცემენ ხელფასს, მაშინ მედიას მიმართავენ და ა.შ. მაგრამ თუ შეპირდები, რომ მასალის ეთერში გასვლის შემდეგ ისინი ხელფასს ნამდვილად მიიღებენ და ეს ასე არ მოხდება, კარგავ მათ ნდობას და ისინი აღარასოდეს უყურებენ შენს გადაცემებს. მაგრამ თუ შენგან წინასწარ არ იღებენ გარანტიას, თავს არიღებენ კონკრეტულ პრობლემებზე საუბარს. ძალიან ძნელია, როცა მედიას არ ჰყავს სათანადო რესპონდენტი.

ირაკლი აბსანძე – ხშირად ჟურნალისტებისგან ექსპერტულ ცოდნას ითხოვენ. რა თქმა უნდა, არის განათლების პრობლემა. მაგრამ ისიც მინდა გითხრა, რომ მთელი წლის განმავლობაში, როცა პროექტის ფარგლებში ჩემი გადაცემა გადიოდა ეთერში, ძალიან ჭირდა სტუდიაში სტუმრის მოყვანა. ეს არ ყოფილა მხოლოდ პოლიტიკურ ნებასთან დაკავშირებული. პრობლემა ის არის, რომ არ არსებობს საექსპერტო გამოცდილება, ცოდნა ადგილებზე. ძალიან ცოტაა ისეთი აქტიური მოქალაქე, რომელსაც შეუძლია აქტუალურ თემებზე და პრობლემებზე საუბარი. გეთანხმებით, რეგიონებში უნდა გაძლიერდნენ

ჟურნალისტები, მაგრამ ამ პროცესს თუ ფეხდაფეხ არ მიჰყვა სამოქალაქო სექტორის და აქტიური მოქალაქეების გაძლიერების პროცესი, რეგიონებში გვეყობებიან ძალიან კარგად მომზადებული ჟურნალისტები, მაგრამ არ იარსებებენ რესპონდენტები და ადამიანები, ვისთანაც უნდა გადაამოწმონ თავიანთი მოსაზრებები.

გოგი გვახარია – ლევანმა თქვა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ დებატებში მონაწილეობაზე. მაინც არა მგონია, რომ დებატები ერთადერთი გამოსავალი იყო იმისათვის, რომ ტელევიზიამ იფუნქციონიროს. არ მოდიან და ნუ მოდიან. თქვენ ფინანსების მოძიების ალტერნატიულ გზებზე საუბრობდით, იქნებ ალტერნატიული ფორმების, ჟანრების მოძიებაც შედის ამ პროცესში.

ფორმა, როდესაც პირდაპირ ეთერში გადაცემის სტუმრები უპირისპირდებიან ერთმანეთს, დიდი ხანია, დაინერგა საქართველოში, მაგრამ არა მგონია, კიდევ დიდი პერსპექტივები ჰქონდეს. იქნებ ჯობდეს, ვიფიქროთ, რომ მარტო ეს არ არის ტელევიზია, არსებობს სხვაგვარი ტელევიზია და ამ სხვაგვარ ტელევიზიაზე მეტი ვიფიქროთ. მით უმეტეს, როდესაც გარემოება გვაიძულებს ასე მოვიქცეთ.

ირაკლის მინდა შევეკამათო იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისელი ჟურნალისტები უფრო არაეთიკურები არიან, იმიტომ რომ მათ მეტს უხდიან. ბევრი მიფიქრია ამ თემაზე, მაგრამ არა მგონია, ეს იყოს მიზეზი. ჩემი აზრით, ამას ორი მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: რეგიონი პატარაა და ის, რასაც თბილისში ჟურნალისტი იკადრებს, ის შეიძლება ვერ იკადროს რეგიონის ჟურნალისტმა. იმიტომ რომ იქ ადამიანები უფრო ახლოს იცნობენ ერთმანეთს. და მეორე, არსებობს ფულით გაფუჭებული ჟურნალისტის გაგებაც. მაგრამ ის იმიტომ კი არ ხდება უზრდელი, რომ ბევრს უხდიან, ის უკვე უზრდელია და სწორედ ასეთი სჭირდება იმ მედია-საშუალებას, რომელშიც ის მუშაობს.

გიორგი მკელიძე, გაზეთი „გურია ნიუსი“ – თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება უარს ამბობს გადაცემებში მონაწილეობაზე, მაგრამ ვიცით, რომ ამავე ხელისუფლების მხრიდან ფინანსდება რეგიონებში ზოგიერთი ტელევიზია. თუ აფინანსებს, უარს რატომღა ამბობს მის გადაცემებში მონაწილეობაზე. მაგალითად გურიაში, დებატებში ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო აქტიურად მონაწილეობენ, ვიდრე ოპოზიციის წარმომადგენლები.

ლევან ალექსიშვილი – ხელისუფლება თავს არიდებს იმ გადაცემებში მონაწილეობას, სადაც გამოითქმება კრიტიკული მოსაზრებები. რომელ გადაცემაზეც მე გესაუბრობდით, მასში გადის სიუჟეტი, სადაც მხოლოდ ხალხის მოსაზრებები ისმის, ხალხი საუბრობს თავის პრობლემებზე. ჩვენ გვინდა, რომ ხალხმა ხელისუფლების წარმომადგენლისგან, ვისაც ეხება ამ პრობლემების მოგვარება, მისგან მიიღოს პასუხი. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

რაც შეეხება დაფინანსების საკითხს. დღეს რეგიონებში მრთლაც ხშირად გამოიყოფა თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტელევიზიებისთვის. ამის მერე უკვე თავად მედია-საშუალებასა და მოკიდებული, ის გაიყიდება ამ თანხაზე თუ შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ია მამალაძე, „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის“ თავმჯდომარე, გაზეთ „გურია ნიუსის“ გამომცემელი – მაღლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ ამ თემას შეეხეთ. ჩემთვის არ იყო ახალი, რომ დარბაზში ხალხის სიმრავლე არ შეიმჩნევა. ეს მარტო მედიას არ ეხება. ჩვენი პროვინციალიზმის ყველაზე დიდი ნიშანი ის არის, რომ წარმოგვიდგენია, რომ ძალიან დიდ სახელმწიფოში ცხოვრობთ და რეგიონებში მიმდინარე პროცესები შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი და საინტერესო თბილისისთვის. ეს დამოკიდებულება ხელისუფლების მხრიდანაც იგრძნობა. რეგიონები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდებათ.

რამდენიმე საკითხი ჩავინიშნე, რომელზეც მსურს გესაუბროთ. მაგრამ იმდენად ბევრი პრობლემაა დაგროვილი, სქემატურად თუ შევეხებით თითოეულ მათგანს, რომ დროში ჩავეტოთ. ლევანმა ისაუბრა ბიზნესის და მოუკიდებლობის შესახებ. მან ისაუბრა „ბისიჯის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე. თუმცა არის სხვა კვლევებიც, რომლებიც აბსოლუტურად სხვა შედეგებს ავლენს. ამ სანდო კვლევებზე დაყრდნობით ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ რეგიონებში, ისევე როგორც თბილისში, ობიექტური ინფორმაციის მიმართ არის განსაკუთრებული ინტერესი. ვლასარაკობთ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ჩემთვის ცოტა გაურკვეველია, რისგან დამოუკიდებელი მედია გვჭირდება? როცა ვამბობთ, რომ მედია ვერ იქცა ბიზნესად, ცხადია ჯერჯერობით ვერც იქცეოდა, იმიტომ რომ საქართველოში უფრო მომგებიანი საქმიანობებიც კი ვერ იქცა ბიზნესად.

მე მაინც მიმაჩნია, რომ მედიის გასაძლიერებლად საქართველოში პირველ რიგში არა უშუალოდ მედიის პრობლემები უნდა გადაიჭრას, არამედ ისეთი სფეროები უნდა განვითარდეს, როგორც არის სასამართლო. ჩვენ გვჭირდება სასამართლო. მახსენდება ინგლისელი ექსპერტი, რომელიც არჩევნების დროს იყო ჩამოსული და გაკვირვებული იყო, რატომ იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის, რომ არჩევნების დროს დარღვევები უცხოურ ორგანიზაციებს დაედასტურებინათ. ამის მერე დავფიქრდი ამ პრობლემაზე და მივხვდი, რომ ამისი მიზეზი ჩემი აზრით ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს ინსტიტუტი, რომელიც ერთმანეთისგან განარჩევს თეთრს და შავს. სამართლიანი სასამართლო ძალიან ბევრ პრობლემას ხსნის. აღარ შეილახება რესპონდენტის ღირსება, იმიტომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასამართლოს გზით შეეცდება თავისი უფლების დაცვას, მაგალითად, როცა მზადდება ჟურნალისტური მოკვლევები, იგივე სასამართლო დასჯის დამნაშავეებს.

კიდევ ერთი კომპონენტია თავისუფალი ბაზარი. თუ მუდმივად უნდა ვიყოთ დაფინანსებაზე, თუ ვერ ვქმნით კონტენტს, რომელიც საინტერესოა საზოგადოებისათვის, თუკი ვერ ვართ წარმატებული, როგორც ბიზნესი, იქნება თავად დავსვათ შეკითხვა, განა საჭიროა ამისთანა მედია-საშუალება?

საუბარი იყო მიწოდების ხერხებსა და დისტრიბუციაზე. მაგალითად ჩემს მედია-ორგანიზაციას აქვს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი. დარბაზში მჯდომი ნებისმიერი ადამიანი თუ მონიღომებს, რომ ხვალ გახდეს ამ გაზეთის მკითხველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, ფოთში, თბილისში თუ ზუგდიდში, ის შეძლებს ხვალიდან ამ გაზეთის მიღებას. ამისთვის ძალიან დიდი შრომა გავწიეთ. ის რესურსი, რომელიც ამისთვის იყო გამოყოფილი თავის დროზე, მინდა გითხრათ, რომ 2006 წლის შემდეგ გრანტი არ გვქონია, ზუსტად ამაში დაიხარჯა, ყველა ის საფეხური გავიარეთ, რაც საერთაშორისო ექსპერტებმა გვასწავლეს. იქნებ უკეთესი იყოს, დასაწყისშივე ვიფიქროთ, როგორ გავყიდით ჩვენს

პროდუქციას. რეგიონებში არიან წარმატებული გაზები, რომლებიც ახერხებენ საკმაოდ დიდი ტირაჟით გამოსვლას.

ცალკე საკითხია კონფორმიზმის თემა, რომელიც ჩემი აზრით დაუშვებელია. მესმის, რომ ადამიანს სჭირდება შენახვა, ფინანსები, თუმცა პირველ რიგში სჭირდება მორალი.

რამდენიმე ექსპერიმენტის შედეგად, რომელსაც დასჭირდა ძალიან დიდი შრომა, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისგან გამოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ როგორ ფინანსდება მედია. ჩემი ინტერესი არ ამოიწურებოდა ადგილობრივი მედიით. მე მაინტერესებდა, ზოგადად, როგორ იხარჯება სახელმწიფო ფული მედია-კამპანიაში, რათა საზოგადოება უკეთ იყოს ინფორმირებული. შედეგები კატასტროფული და სავალალოა. როდესაც ხელისუფლება არამიზანმიმართულად ხარჯავს ამ თანხას, იმისათვის, რომ მედიაში იყოს ის მდგომარეობა, რაც დღეს გვაქვს, და ჩვენ ამას არ ვეწინააღმდეგებით. ძალიან კარგია, რომ ამ თემებზე ხმამაღლა საუბარი დავიწყეთ.

ვახუშტი მენაბდე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება პირდაპირ არ უკავშირდებოდეს რეგიონული მედიის თემას, მაგრამ ვინაიდან მედიაც სამოქალაქო ადვოკატირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია, ალბათ ამ კონტექსტში საინტერესო იქნება ჩემი კომენტარი.

ბატონმა ლევანმა დასვა საკითხი, ჟურნალისტმა უნდა ილაპარაკოს თუ არა სხვის მაგივრად მის პრობლემებზე. მე არ დავეთანხმები ბატონ ლევანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მე მგონია, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც სამოქალაქო სექტორში ვსაქმიანობთ, და მით უმეტეს მედიას, ეს ვალდებულება აქვს. იმიტომ რომ ადამიანები ხშირად შიშის, ან სხვა ფაქტორების გამო არ ლაპარაკობენ თავიანთ პრობლემებზე, იმ სოციალური გარემოს მსხვერპლნი არიან, რომელიც არსებობს კონკრეტულ საზოგადოებაში. ჩვენ პასუხისმგებლობა გვეკისრება, იმიტომ რომ გარკვეულწილად ჩვენც ვართ ამ გარემოს შემოქმედები, ჩვენც მიგვიძღვის წვლილი იმაში, რომ ეს გარემო ასეთია. ამიტომ ჩემი აზრით, მიდგომა, რომლის მიხედვითაც, თუ თავად დაზარალებული არ ლაპარაკობს, არც ჩვენ ვილაპარაკოთ, მთლად მართებულად არ მიმაჩნია.

– მე მგონია, რომ ცოტა არასწორი მახვილი გაკეთდა რეგიონულ მედიაზე. ჩემი აზრით, დღეს საქართველოში კარგი რეგიონული მედია ფუფუნებაა, იმიტომ რომ კარგი მედია არ არსებობს ზოგადად. რა არის ჩვენი მიზანია, რეგიონული მედიის არსებობა თუ რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა? ჩემი აზრით, ჯობია მედიამ იზრუნოს იმაზე, რომ ჰყავდეს ძლიერი რეგიონული კორესპონდენტები და რეგიონის პრობლემები უკეთესად გაშუქდეს და მართო კრიმინალურ სიტუაციაზე არ იყოს ლაპარაკი. იმიტომ რომ ნამდვილად ვერ დაველოდებით, მაგალითად ილია ჩაჩიბაიას მედია-ექსპერტად ჩამოყალიბებას. თუკი რეგიონული პრობლემები სათანადოდ გაშუქდება, თუკი ვამბობთ იმასაც, რომ რეგიონულ პრობლემებს ვერ წყვეტენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ისინი ხშირად ცენტრალური ხელისუფლების გადასაჭრელია, მგონია, რომ ინფორმაციის მიწოდების მხრივ ყველაზე ეფექტური საშუალებაა არა რეგიონული მედია, არამედ ცენტრალური მედია, რომელიც თბილისშია თავმოყრილი. მაღლობა.

ნანა ლობჯანიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი – მოგეხსენებათ, „ბისიჯის“ კვლევამ დაადგინა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფრო მეტად აინტერესებთ გართობა, ვიდრე საინფორმაციო გადაცემები. ჩვენმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, უფრო დეტალურად შეესწავლა, თუ როგორ ჩატარდა კვლევა და რა კითხვები დაისვა. ჩვენ გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია და მივიღეთ პასუხი. აღმოჩნდა, რომ გამოკითხვა ჩატარდა დეკემბრის შუა რიცხვებიდან იანვრის შუა რიცხვებამდე. პასუხებიც გამოკითხვის დროს უკავშირდება. ეს ახალი წლის დღეებია და შეიძლება ხალხს უფრო აინტერესებდა გასართობი პროგრამები. ჩემი აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზოგადად ასეა.

გურიის ტელევიზიის მაგალითზე მინდა ვთქვა, ის ტელევიზიები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, რა თქმა უნდა, იქ უფრო ხშირად მიდიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ნაკლებად ოპოზიცია, იმ ტელევიზიებში კი, რომლებიც მათ მიერ არ ფინანსდება, აქსიომაც არის, რომ არ მივლენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჩვენ გვინდა ძალიან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ რეგიონულ მედიასთან. იმედი გვაქვს, გაამართლებს ჩვენი პილოტური პროგრამა, გვინდა სხვადასხვა რეგიონების საინფორმაციო ცენტრიდან მოვიზიდოთ ის ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც მათ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის სურთ, მოვამზადოთ მათი მოკლე მიმოხილვა, ვთარგმნოთ ის ინგლისურად და გადავუგზავნოთ იმ ადამიანებს, ვისთანაც გვაქვს კავშირი. ასე რომ რეგიონულ მედიას აუცილებლად შევუვლიანებით ამასთან დაკავშირებით და იმედია, ვითანამშრომლებთ ამ კუთხით.

მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდი „იუნისეფი“ – ძალიან დიდი მადლობა საინტერესო დისკუსიისათვის. ორ საკითხს მინდა შევეხო. პირველი ეხება ჟურნალისტთა განათლებას. ამ თემაზე თქვენც ისაუბრეთ, მაგრამ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ყურადღება ჟურნალისტების პროფესიულ განათლებაზე გაამახვილეთ. მე მაინტერესებს, რამდენად ანიჭებთ მნიშვნელობას პროფესიონალი ჟურნალისტის ჩამოყალიბებაში ზოგად განათლებას, კრიტიკული ანალიზისა და აზროვნების უნარს, რომელიც უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს, ვიდრე დაეუფლებოდეს პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

მეორე შეკითხვა მედიისა და საზოგადოების ურთიერთკავშირს ეხება. ხომ არ გგონიათ, რომ როგორი საზოგადოებაც გვაქვს, ისეთივეა მედია და ეს ყველაფერი ასახავს იმ რეალობას, საიდანაც მოვდივართ ყველანი. საუბარი იყო მოქალაქეთა დაბალ აქტივობაზე, იმაზე, რომ არ სურთ საკუთარ პრობლემებზე საუბარი. ჩემი აზრით, ეს იმის შედეგია, რომ ყველანი მოვდივართ რეალობიდან, როდესაც ველოდებით, რომ სხვა გააკეთებდა ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ან სხვა იაზროვნებდა ჩვენს მაგივრად. ამიტომ, ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა, უფრო გაააქტიურდეს სამოქალაქო სექტორი, უფრო გაიზარდოს საზოგადოება, რათა თუნდაც მედიიდან წამოსულ დარღვევის ფაქტებს გაუწიოს შესაბამისი რეაგირება.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ რეგიონული მედია გაცილებით უკეთ იცავს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, ვიდრე ცენტრალური არხები.

ჯონი კვინიკაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მედიუმი“ – ეს შეხვედრა სამი თვის წინ რომ გამართულიყო, მას ვერაფრით დავესწრებოდი. სამი თვის წინ როგორც

კონსულტანტი, ვმონაწილეობდი რეგიონალური მედია-ასოციაციის, „გარბის“ ინსტიტუციური განვითარების შეფასებაში. მინდა რამდენიმე დაკვირვება გაგაცნოთ. გამიკვირდა, რომ ამდენი ხანი არავის უხსენებია ეს ასოციაცია. თავიდან მასში 24 ტელევიზია იყო გაწევრიანებული, შეფასების დაწყებამდე ორი თვით აღრე მათ ჩამონათვალს ორი, ლაგოდების და გორის ტელევიზიები გამოაკლდა. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, კოორდინატორი ძალიან კარგი და აქტიური ადამიანები არიან, მაგრამ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აწევთ მხრებზე. პროფესიონალიზმი დაკავშირებულია ბიუჯეტთან. ბიუჯეტი საიდან უნდა მოვიდეს, ან საჯარო ბიუჯეტიდან ან ბიზნესიდან. საჯარო ბიუჯეტზე დამოკიდებულება ცუდიაო, ვამბობთ, ბიზნესი კი შეშინებულიაო. ერთადერთი, რაც რჩება, საერთაშორისო ფონდებია. სწორედ ასოციაცია „გარბი“ უძღვება ღონისძიებებს ორგანიზაციების და მედიის დაკავშირებას. მაგრამ ამისთვის არ არის საკმარისი, ინიციატივა მხოლოდ ცენტრიდან მოდიოდეს, თვითონ ადგილობრივმა ტელევიზიებმაც უნდა გამოიჩინონ ინიციატივა.

ლიკა ცაბოშვილი, ჟურნალისტი – ვახუშტი მენაბდის ნათქვამს გამოვეხმაურები. მე მგონი, უნდა გავითვალისწინოთ იმ ინფორმაციის სპეციფიკა, რომელსაც გვაწვდის რესპონდენტი. იმიტომ რომ არის შემთხვევა, როდესაც დევნილი ოჯახი მეუბნება, რომ უშულოდ იყო მისული სამინისტროში და ასე და ასე უპასუხეს. თუ არ მექნება საშუალება მივუთითო წყარო, მოვიყვანო ჩემი რესპონდენტის ნათქვამი სიტყვები, სიმართლის თქმა არ გამომდის. წყარო უნდა დამეხმაროს თავისი ისტორიით. თუ ვერ მივუთითებ კონკრეტული დევნილის სახელს და გვარს და ვერ მოვიშველიებ მის ნათქვამს, ასევე ვერ მივუთითებ რომელიმე სკოლის დირექტორის კონკრეტულ ინფორმაციას, ჩემი მასალა ძალას კარგავს. მათი მხრიდან მათივე ნათქვამის დადასტურება მჭირდება.

ლევან ალექსიშვილი – ორი მნიშვნელოვანი საკითხი იყო: უნდა ვილაპარაკო თუ არა რესპონდენტების ნაცვლად და მეორე, მედიის უნიტარიზაცია. ძლივს დავაწყებინეთ ამ ხალხს ლაპარაკი და ახლა გადავაჩვიოთ? საკმარისია ერთი-ორი პრეცედენტი, როდესაც შენ აიღებ საკუთარ თავზე მათი სათქმელის თქმას, რომ ადამიანმა აღარ შეიწუხოს თავი საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკით. შენი სანდოობის ხარისხიც ეჭვქვეშ დადგება. მე არ მაქვს პრეტენზია, რომ მაინცდამაინც იმ ადამიანმა ისაუბროს. ილაპარაკოს მისი სახელით არასამთავრობო ორგანიზაციამ. მედიას სჭირდება ფაქტები, წყარო. ლიდერობა მედიაში კლავს მედიას. მედიასაც აქვს თავისი ცდუნება. საზოგადოებრივმა ნდობამ არ შეიძლება გაგიჩინოს ზედმეტი ამბიციები. როცა საზოგადოება სუსტია, გაქვს დიდი ცდუნება, რომ საკუთარ თავზე აიღო იმ პრობლემების მოგვარება, რაც შენს კომპეტენციაში არ შედის.

ვხედავთ, რომ უნიტარიზაცია გვლუპავს, მაგრამ მაინც იქით მივდივართ, მაინც ლიდერებს ვეძებთ. დემოკრატიზაცია, ჩემი აზრით, ქვემოდან იწყება. რეგიონში საჭიროა არსებობდეს თუნდაც მცირე ჯგუფი, იქნება ეს გაზეთი, ტელევიზია თუ რადიო. მოქალაქეებს აინტერესებთ თავისი სოფლის და რაიონის ამბავი. დამისახელებთ მედია-საშუალება, რომელიც ჩემს მაყურებელს, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდების მაყურებელს მიაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება თითოეულ რაიონში, რამდენად თავსებადია ადგილობრივი ხელისუფლების ქმედებები თვითმმართველობის ორგანული კანონის ქმედებებთან, რამდენად იცავს ან არღვევს კანონს. რომელი მედია-საშუალება მეტყვის ამის შესახებ, თუ არა ადგილობრივი? ასეთი ტიპის ინფორმაციაზე არის მოთხოვნა. ჩვენ ამ ტიპის ინფორმაციის

მიწოდებით ხელი უნდა შეუწყოს ამ ტიპის ინფორმაციაზე მოთხოვნის ზრდას. ადამიანებმა უნდა ისწავლონ სიღრმისეული ანალიტიკური მასალის მოსმენა და გაგება. ჩემთვის არც ერთი პროექტი არ არის მომგებიანი. მაგრამ ამ ინფორმაციის მიწოდების გარეშე არ შეიძლება ვისაუბროთ სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ზვიად ქორიძე – რატომ არ არის მომგებიანი ის პროექტები?

ლევან ალექსიშვილი – მომგებიანობას განსაზღვრავს რეკლამის ქონა პროდუქტში. ასეთ ინფორმაციაში ბიზნესი არ ინტერესდება რეკლამის მოტანით.

ზაზა ნაკაშიძე, გაზეთ „რუსთავის ამბების“ გამომცემელი, რეგიონული მედია-ასოციაციის გამგეობის წევრი – ასევე ვარ გაზეთ „ლანჩუთი პლიუსის“ გამომცემელი, რომელიც უკვე 16 წელია, რაც გამოიცემა, და აღარც მახსოვს რამდენი წელია, გრანტებისა და დონორების გარეშე არსებობს. ამით იმის თქმა მინდა, რომ რეგიონულ მედია-საშუალებას შეუძლია არსებობა.

ახალგაზრდის სიტყვებს მინდა გამოვეხმაურო. ამ აზრმა მომხსენებელთა სიტყვებშიც გაიჟღერა. გამოჩნდა რამდენად დაბალ დონეზეა ჩვენთან რეგიონული მედიის როლის და ფუნქციის გაგება. ჩემი აზრით ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თვითონ სამოქალაქო საზოგადოების გაგება ჩვენთან ძალიან დაბალ დონეზეა. დემოკრატია აქვს ტერიტორიული განზომილება. სამოქალაქო საზოგადოება მოდის მოქალაქის ცნებიდან. საიდან წამოვიდა თვითონ ეს ცნება – პატარა ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობის თუ არა, მმართველობაში მონაწილეობის მცდელობიდან. ამერიკის დემოკრატია პატარ-პატარა გაზეთების და ტელევიზიების მხრებზეა. იქ ყვავის 5 ათას და 2 ათას ტირაჟიანი გაზეთები.

ვანტანგ ბახტაძე, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ – ქალბატონ იასთან მაქვს შეკითხვა. გამოკვლევებზე საუბრისას შიში ახსენეთ. მოგეხსენებათ, ჰიბრიდული დემოკრატის პირობებში ვიმყოფებით. მიგაჩნიათ თუ არა ქალბატონო ია, რომ ჟურნალისტური პროფესიონალიზმის საკითხი შიდა ჟურნალისტურ სივრცეში უნდა გაირკვეს? ის პრობლემები, რომლებიც აქ დასახელდა, მოითხოვს ჟურნალისტური სოლიდარობის მაღალ ხარისხს, ვთქვათ ისეთს, როგორსაც შეიცარიელმა ჟურნალისტებმა მიმართეს, როდესაც 24 საათის განმავლობაში არც ერთი გაზეთი არ გამოვიდა. ეს არსებითი საკითხია იმისთვის, რომ საზოგადოებამ გაიგოს პრესის ძალა. გმადლობთ.

ია ანთაძე – იმ შეხვედრების დროს, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ, სოლიდარობის პრობლემა ნამდვილად არ დამდგარა. პირიქით, ხაზგასმული იყო ის, რომ ფავორიტიზმი არის ცუდი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხელისუფლება ზოგ ჟურნალისტს აძლევს ინფორმაციას, ზოგს – არა, ზოგს აძლევს საშუალებას საინტერესო ინფორმაციით გავიდეს თავის მაცურებელთან თუ მკითხველთან, ზოგს – არა. შეხვედრებზე საუბარი უფრო იყო იმაზე, რომ მედია გავაძლიეროთ მარწუხებიდან გამოყვანით და მისი კვალიფიკაციის ზრდით. საინტერესოა, რატომ არ იყო საუბარი სოლიდარობაზე. ვერ გეტყვით, რატომ არ გაკეთდა აქცენტი ამ თემაზე.

ვერა ქობალია, გაზეთი „სამეგრელოს ქრონიკა“ – ცენტრალურმა არხებმა გაგვიფუჭეს სახელი, აღარ გვენდობიან რესპონდენტები. პირადად მე კონფლიქტის თემაზე ვმუშაობ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც როცა რალაც მიკითხავს რესპონდენტისთვის, მას უპასუხია, რომ აზრი არა აქვს, რას მეტყვოდა, რადგან მე როგორც ჩავთვლიდი საჭიროდ, მაინც იმ ინფორმაციას გადავცემდი. მე მგონი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის ნდობის დაკარგვა. ზუგდიდი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ქალაქია. თუმცა ჩვენს თხოვნაზე პასუხს და არა გამოთხოვილ ინფორმაციას მხოლოდ ათი დღის შემდეგ ვიღებთ. პასუხი ან გადამისართებას გულისხმობს, ან არასწორია და არადაამაკმაყოფილებელი.

ზვიად ქორიძე – შევეცდები ძალიან მოკლედ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. ჩაკეტილ წრეში ვიმყოფებით. არ არის საჯარო ინფორმაცია, არ გვაქვს ეფექტური სასამართლო, არ არის მაღალი პროფესიული სტანდარტები. აგერ უკვე 20 წელია, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დაუსრულებლად ვტრიალებთ ამ წრეში. ერთი კითხვა მინდა დავსვა, რომელიც შეიძლება რიტორიკული იყოს და დღეს არც გაეცეს პასუხი – რა არის ის პროდუქტი, რომელსაც ელოდება ჩვენგან მომხმარებელი. არის თუ არა ჩვენთვის ნაცნობი მათი მოლოდინები. დარწმუნებული ვარ, რომ მათი მოლოდინები გაცილებით უფრო ჯანსაღია, ვიდრე ჩვენი მიდგომა ამ პრობლემების მიმართ. თუ არიან მოქალაქეები, რომლებსაც უჭირთ ბარიერის გადალახვა, ზოგჯერ შიშის ან სხვა პრობლემის სახით ვლინდება, ეს თემა ხომ ჩვენთვის ისედაც ნაცნობია. მქონდა მცდელობა, რამდენიმე მედია დეტალურად გამეჩინა და ვნახე, რომ თვითონ იმ თემის შესახებ, სადაც ეს გაზეთი ვრცელდება, ძალიან ცოტაა მასში ნათქვამი. ამ რეგიონის მცხოვრებთა პრობლემები არ ჩანს ამ გაზეთში. ძალიან უხერხულია, როცა რეგიონული გაზეთის მთავარი თემა არის ლისაბონის სამიტი. იმიტომ კი არა, რომ მას არა აქვს ფუნქციონალური დატვირთვა თუნდაც იმ მოქალაქეებისთვის, ვინც იქ ცხოვრობს, უბრალოდ, მერე აუცილებლად დადგება საკითხი, რომ რეგიონულ მედიაში არის პროფესიონალიზმის დეფიციტი.

იამ ისაუბრა გამართულ შეხვედრებზე. თუ დააკვირდით, რას უსვამენ ხაზს ამ შეხვედრების მონაწილეები. საუბრობენ საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების დეფიციტზე. და მაგიდასთან, სადაც სხედან ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არ საუბრობენ სამოქალაქო განათლების დეფიციტზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ იქ, სადაც უნდა განვითარდეს რეგიონული მედია. ეს მოქალაქეები ითხოვენ საკუთარი უფლებების დაცვას, ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვას. მე გაზეთებზე ვსაუბრობ, იმიტომ რომ ტელევიზიები, გარდა ერთისა, არა აქვს მნიშვნელობა, ეხმარება მას დონორი თუ არა, მთლიანად არის ჩამოკიდებული ადგილობრივ ბიუჯეტზე. ერთადერთია „25-ე არხი“, რომელსაც არანაირი ბმა არ აკავშირებს ადგილობრივ ბიუჯეტთან. თუ მოქალაქემ საკუთარი თავი, საკუთარი პრობლემები არ დაინახა რეგიონულ მედიაში, ის არასოდეს არ იყიდის მის პროდუქციას. და მეორე მომენტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, პირველი გაზეთები, რომლებიც გამოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში, ყველა პარტიული იყო. თითოეული მათგანის ინტერესი იყო საკუთარი პარტიული ინტერესების პროპაგანდირება. ძალიან ადვილად მიხვდნენ თავად გამომცემლები, რომ ეს მიკერძოებული მიდგომა მათ აზარალებდა. იმიტომ რომ მათ გაზეთებს მხოლოდ ამა თუ იმ პარტიული პოზიციის მქონე ადამიანები

კითხულობდნენ. ამიტომ მოხდა ტრანსფორმაცია და ისინი გადავიდნენ მიუკერძოებლობაზე. ამიტომაც შემოვიდა ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. ყველაზე მთავარი პროფესიული სტანდარტი, რომ ფაქტი ზუსტი იყოს, და ყველაზე მარტივი ეთიკური სტანდარტი, რომ არ ავნო – ესენია, რაზეც დგას ამერიკული ჟურნალისტიკა დღემდე უკვე ორი საუკუნეა. ყოველთვის ვეუბნები ჩემს კოლეგებს, რომ ეთიკური ჟურნალისტიკა არის ის ტიპი ჟურნალისტიკის, რომელიც გეხმარება, გახდე მომგებიანი. პროფესიული სტანდარტების დაცვა არის ერთადერთი გზა, რომელიც გაგხდის მომგებიანს. ამიტომაც ევროპაში, შეერთებულ შტატებში, გადარჩა ის მედია, რომელსაც აქვს ნდობის მაღალი ხარისხი.

დღეს აქ ხშირად იყო საუბარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე, რაც ჩემი აზრით, სულ არ არის პრიორიტეტი რეგიონული მედიისთვის. მისთვის პრიორიტეტი არის ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან.

ირაკლი აბსანძე – პარტიულობასთან დაკავშირებით ნაწილობრივ ვეთანხმები ზვიადს. როცა საზოგადოებაში თამაშის წესები დადგენილია, როცა საზოგადოებამ იცის, რას ნიშნავს მემარცხენე, მემარჯვენე და ა.შ., არსებობს გაზეთები, რომლებიც ამ მსოფლმხედველობას უჭერენ მხარს. ყველას ჰყავს თავისი მომხმარებელი. მეც მირჩევნია, როცა კკითხულობ პროდუქტს, ვიცოდე, რომელი მსოფლმხედველობის მატარებლები არიან ისინი. ჩვენთან ეს არ არის შეთანხმებული.

ქალბატონმა მაიამ დასვა შეკითხვა განათლებაზე. გვიჭირს ამის აღიარება, მაგრამ უნდა ვთქვათ, ჩვენი საზოგადოება არ არის საკმარისად განათლებული. საკუთარ თავსაც ვგულისხმობ, ეს პრობლემა თითოეული ჩვენგანის წინაშე დგას.

ია ანთაძე – პროფესიონალიზმი მოთხოვნადია თავისუფალ გარემოში. ეს პირველ რიგში ეხება ჟურნალისტიკას. იქ, სადაც არ არის თავისუფალი გარემო და არავის არ სჭრდება პროფესიონალი, ვეღარ იყენებენ უნივერსიტეტებიდან გამოტანილ ცოდნას და იძულებულები არიან იმუშაონ იმ სტანდარტების დარღვევით, რომლებზეც ძალიან ბევრი რამ იციან. თუმცა, არის გაზეთი „ბათუმელები“, სადაც შეგიძლიათ იმუშაოთ სტანდარტის დაცვით და ის არის გამონაკლისი.

ია მამალაძე – რატომ ამბობთ, რომ გამონაკლისია. იცით სხვა გაზეთების კონტენტი?

ია ანთაძე – გაზეთ „ბათუმელებს“ მართლა მივიჩნევ გამონაკლისად იმ თვალსაზრისით, რომ სტანდარტის ქვემოთ პრაქტიკულად არაფერი იბეჭდება. არის გაზეთები, სადაც არის სხვადასხვა დონის მასალები. ეს არის გაზეთი, რომელიც მთლიანობაში მაღალი დონისაა. ამასთან არის ძალიან მამაცი.

გოგი გვახარია – კეთილი. დავასრულოთ დისკუსია. ყველას ძალიან დიდი მადლობა.